ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4156200

ნომერი: AR1626648

თარიღი : 03.09.2018

გაცემის თარიღი : 06.09.2018

გაცნობის თარიღი : 06.09.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი, ფარსადანის ქუჩა N9;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რაულ იაკობიძე პ/ნ 54001007073
- თბილისი ლუბლიანას ქ. N 38 ბ. 1ა

ორგანიზაცია:
- პარტნიორი2 კოდი: 405092224

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 24 აგვისტოს №4135516 ბრძანებაში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 03 სექტემბრის NAR1626648 განცხადებით მომართა რაულ იაკობიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 24 აგვისტოს №4135516 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 24 აგვისტოს №4135516 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქი თბილისში, სოფელი დიღომი, ფარსადანის ქუჩა N9, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.683), საცხოვრებელი, კომერციული, სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 24 აგვისტოდან 2021 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2018 წლის 24 აგვისტოს №4135516 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობის - 11406.8 კვ.მ.-ის ნაცვლად - 11415.85 კვ.მ.-ის, კომერციული ფართობის - 1513.4 კვ.მ.-ის ნაცვლად - 1515.7 კვ.მ.-ის, საზაფხულო ფართობის - 3098.1 კვ.მ.-ის ნაცვლად - 3510.9 კვ.მ.-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობის - 3004.28 კვ.მ.-ის ნაცვლად - 2988.2 კვ.მ.-ის, სასტუმროს ნომრების ფართობის - 6591.6 კვ.მ.-ის ნაცვლად - 6601.4 კვ.მ.-ის, ხოლო საერთო ფართობის - 31220.68 კვ.მ-ის ნაცვლად - 31638.6 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა არ წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს და არ არსებობს ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების სამართლებრივი საფუძველი. კერძოდ, სამსახურის 2018 წლის 24 აგვისტოს №4135516 ბრძანებით შეთანმხებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის +48.75 ნიშნულის გეგმაზე საზაფხულო ფართობი არ არის დატანილი. შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნა საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილებას (კორექტირებას).
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2018 წლის 24 აგვისტოს №4135516 ბრძანებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.